
თანამედროვე თეორიული და პრაქტიკული ხედვები.
ლიტერატურის კომერციალიზაციის ზერკეტები
Modern Theoretical and Practical Views. Leverages of Commercialization of Literature

Levan Bregadze

ლევან ბრეგაძე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

For the Perfection of International Comparative Studies

საერთაშორისო კომპარატივისტულ კვლევათა სრულყოფისათვის

In recent times parallel to the national literature histories more often are created comparativist histories of particular literature genres, of expressive literary techniques, of fable-plots or of literature motives with regard to international literature practice.

None of these works has the claim of completeness. But all of them are striving towards completion.

Here comes a good chance to internationalize the literature data, that could not initially attract attention on international level, because they were written in languages of small numbered people.

In the work we discuss the data of the Georgian literature, that not regarding them makes the international histories of such data definitely incomplete.

Key words: comparative studies, national literature, internationalize

საკვანძო სიტყვები: კომპარატივისტული კვლევები, ნაციონალური ლიტერატურა, ინტერნაციონალიზაცია

ეროვნული ლიტერატურის ისტორიების პარალელურად ბოლო დროს სულ უფრო ხშირად იქმნება ცალკეულ ლიტერატურულ ჟანრთა, მხატვრულ-გამომსახველობით ხერხთა, ფაბულა-სიუჟეტთა თუ ლიტერატურულ მოტივთა კომპარატივისტული ისტორიები საერთაშორისო ლიტერატურული პრაქტიკის გათვალისწინებით. ამგვარ ნაშრომებს საფუძველი ჩაუყარა ფოლკლორულ მოტივთა სამიხედობა, რომელიც ანტი აარნემ (1867-1925) შეადგინა მე-20 საუკუნის დამდეგს.

არც ერთ ასეთ ნაშრომს სისრულის პრეტენზია არ აქვს, მაგრამ ყველა მათგანი ესწრაფვის სისრულეს.

აქ ჩნდება კარგი შანსი იმ ლიტერატურების მონაცემთა ინტერნაციონალიზაციისა, რომლებმაც, იმის გამო, რომ მცირერიცხოვან ხალხთა ენებზე იქმნებოდნენ, თავის დროზე ვერ შეძლეს ყურადღება მიეპყროთ საერთაშორისო მასშტაბით. განსაკუთრებით დასანანი ეს ვითარება მაშინ

არის, როცა მცირერიცხოვან ხალხთა ენებზე შექმნილი ლიტერატურის მონაცემები პრიორიტეტულია, ანუ ქრონოლოგიურად პირველია. აი ამ დასაწანი „უსამართლობის“ ნაწილობრივ გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა ზემოხსენებული ისტორიები.

უამრავთაგან დავასახელებთ ქართული ლიტერატურის რამდენიმე მონაცემს, რომელთა გათვალისწინების გარეშე ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ისტორიების ნაკლულობა აშკარაა.

ევროპელი მოდერნისტების (ბერტოლტ ბრეხტი, ჟან ანუი...) მიერ ხშირად გამოყენებული მხატვრული ხერხი – ცნობილი ძველი სიუჟეტებიდან ზედისწერის მოტივის ამორიდება და მისი ჩანაცვლება „მიწიერი“ მოტივებით – ბევრად ადრე განახორციელა დანიელ ჭონქაძემ 1859 წელს გამოქვეყნებულ მოთხრობაში „სურამის ციხე“. ეს ფაქტი ამაღლებს ქართული ლიტერატურის პრესტიჟს.

ანდა ავიღოთ ნაწარმოების აგების მეთოდი „კომპოზიციური პოლიფონიზმი“, რომელიც დღეს მხატვრული ტექსტის ორგანიზაციის მეტად პროდუქტიული ხერხია. მასზე დაწერილი ნაშრომები იუწყებიან, რომ იგი პირველად მე-19 საუკუნეში გამოჩნდა ევროპელ და რუს რომანტიკოსთა შემოქმედებაში. ამ ლიტერატურული მოვლენის ისტორიას და თეორიასაც უთუოდ გაამდიდრებს იმის გათვალისწინება, რომ „კომპოზიციური პოლიფონიზმი“ უკვე მე-4 საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ძეგლში, „წმ. ნინოს ცხოვრებაში“, არის რეალიზებული სრულყოფილად.

გაოცებას იწვევს იგავების ფაბულათა ისტორიის კვლევისას სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) იგავების წიგნის სრული უგულებელყოფა საერთაშორისო კვლევებში, და ეს მაშინ, როდესაც ქართველ მწერალთან ცნობილი იგავური სიუჟეტების ორიგინალურ ვერსიებს ვხვდებით. ერთი მაგალითი:

არსებობს უძველესი იგავური ფაბულა სიკეთის ბოროტებით გადახდის თემაზე, რომელიც ემბრიონული სახით ჯერ კიდევ ეზოპესთან გვხვდება. მგზავრი ყინვაში გათოშილ ასპიტს (გველს) წააწყდება, უბეში ჩაისვამს, გაათბობს და მოასულიერებს. გამოცოცხლებული ასპიტი უკბენს სიკეთისმყოფელს, რომელიც სიკვდილის წინ ნანობს, რომ გველი შეიბრალა („მგზავრი და ასპიტი“) (Antike Fabeln, 1978, გვ. 98).

ოდნავ შეცვლილი სახით გვხვდება ეზოპეს ეს იგავი რომაელ მეიგავესთან ფედრუსთან (დაახლ. ძვ. წ.-ის 20 – დაახლ. ახ. წ.-ის 50). მორალი იგავის თავშივეა გაცხადებული: „*ვინც ბოროტს დაეხმარება, ცუდს მოიწვევს*“ (Antike Fabeln, 1978, გვ. 212).

ეზოპეს მარტივ ფაბულას რამდენადმე ავითარებს ფრანგი იგავთმწერალი ლაფონტენი (1621-1695). იგი ამ ლექსად დაწერილი იგავის – „გლეხი და გველი“ – თავშივე იმოწმებს პირველწყაროს – ეზოპეს. ლაფონტენთან კაცს გველი გასათბობად შენ მიჰყავს. მოსულიერებული ქვეწარმავალი თავის გადამრჩენელს კბენას დაუპირებს, მაგრამ ის დაასწრებს და ნაჯახით კლავს გველს (La Fontaine, 2019).

ინდო-სპარსული ლიტერატურის წარმომადგენლის ნახშაბის „თუთიყუმის წიგნი“ (შედგენილია დაახლ. 1330 წელს) არის ასეთი ფაბულა: გველის გადამრჩენელი ღმერთს იმის ძალას სთხოვს, რომ სძლიოს უმადურ მოძალადეს, და ღმერთიც მას ასეთ ძალას მიანიჭებს (Нахшаби, 1979, გვ. 280-281).

ეზოპეს მარტივი ფაბულა შემდგომ სულ უფრო და უფრო გართულდა, დაემატა ახალი პერსონაჟები.

ესპანელი ავტორის პეტრუს ალფონსის (დაახლ. 1075 – დაახლ. 1130) კრებულში „Disciplina clericalis“ გამოჩნდა მსაჯული – მელა და მსაჯულმა მოიყოლია „საგამოძიებო ექსპერიმენტის“ მოტივიც, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ (Alphonsi, 2020).

შემდგომ მსაჯულთა რაოდენობამ იმატა. სამი მსაჯული გვხვდება სანსკრიტული კრებულის „პანჩატანტრას“ ერთ ვერსიაში, რომელშიც გველი ნიანგი არის ჩანაცვლებული. ეს ნიანგი სთხოვს კაცს როგორმე მისთვის სანატრელ ზღვამდე მიიყვანოს. კაცი მას ტომრით მოიკიდებს ზურგზე და ასე ატარებს ზღვამდე. ტომრიდან ამოსვლის შემდეგ ნიანგი კაცს შეჭმას დაუპირებს. პირველი

მსაჯულია მანგოს ხე, მეორე – ბებერი ძროხა. ესენი ორივენი ნიანგის, ანუ სიკეთის ბოროტებით გადამხდელის, მხარეს იჭერენ. შემდეგ მიმართეს მელას, რომელმაც ზემოთ ნახსენები „საგამომიებო ექსპერიმენტის“ წყალობით სიკეთეს გაამარჯვებინა ბოროტებაზე (Benfey, 1859, გვ. 113-114). „საგამომიებო ექსპერიმენტი“ ასეთია: მსაჯული მელა განაცხადებს, რომ არ სჯერა თითქოს ნიანგი იმ ტომარაში ჩაეტეოდა, რომლითაც კაცმა ის მისთვის სანატრელ ზღვამდე ატარა. ნიანგი გაბრიყვდება და ხელახლა ჩადვრება ტომარაში, ხოლო ჭკუანასწავლი კაცი მას ქვით გაუჭეჭყავს თავს.

ოთხი მსაჯულია ამ იგავის ვერსიაში, რომელიც გერმანულ ხალხურ ეპოსში „რაინეკე მელა-შია“ წარმოდგენილი (მე-15 ს.), ისევე, როგორც გოეთეს მიერ გადამუშავებულ ამავე სათაურის მქონე პოემაშიც. აქ სამი მსაჯული – ყვავი, დათვი და მგელი – გველის მხარეს იჭერენ, ხოლო მელა ზემოთ აღწერილი „საგამომიებო ექსპერიმენტის“ წყალობით სიკეთეს გაამარჯვებინებს.

ასეთივე ფაბულის მქონე იგავი არის სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ VI-ის მიერ სპარსულიდან ერთობლივად თარგმნილ „ქილილა და დამანაშიც“ – „სიკეთის მუქაფა“ (ქაშეფი, 2006, გვ. 365-369), და, რაც მთავარია, საბას თვითონაც გამოუყენებია ეს იგავი თავის „სიბრძნე სიცრუისაში“ (მას რუქა გვიყვება), ოღონდ მნიშვნელოვანი ცვლილება შეუტანია მასში. საბასთან ბოლოში დამატებულია კაცის მიერ სიკეთის მქმნელი მელიის მიმართ გამოჩენილი ვერაგობა, რაც არსებითად ცვლის იგავის იდეას. კაცს მისი გადამრჩენელი მელას ბეწვი მოეწონა და შუბით დაუპირა მოკვლა. მელა დაუსხლტა და ინანა, რომ ის სიკვდილს გადაარჩინა.

ამრიგად, ცნობილ ფინალს საბამ მეორე ფინალი დაუმატა, რითაც შეცვალა იგავის იდეა.

ეს ორმაგფინალიანი ვერსია საბამდე არსად ჩანს, საბას შემდეგ კი ის რუსეთში დაფიქსირდა. კერძოდ, ორმაგფინალიანი იგავის ტექსტი გამოაქვეყნა ა. ნ. აფანასიევმა სათაურით „მგელი პურმარილი აღარავის ახსოვს“ („Старая хлеб-соль забывается“). ამ იგავის კომენტარებში, რომელიც რუსული ხალხური ზღაპრების აფანასიევისეული კოლექციის სამტომიან გამოცემას ერთვის, ვკითხულობთ: „ჩაწერილია ასტრახანის გუბერნიის ჩერნოიარსკის მაზრაში [კანცელარიის] მწერალ (писарь) ო. ლ. ვოლკონიძის მიერ. ხელნაწერი ინახება საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების (ВГО) არქივში (პ. II, ოპ. I, № 93, ლ. 3-5; 1857)“ (Афанасьев, 1984, გვ. 441).

იმავე არაკის სხვა ჩანაწერი სათაურით „ბოროტებას ბოროტებითვე პასუხობენ“ („Зло злом платится“) შესულია დ. ნ. სადოვნიკოვის კრებულში „სამარის მხარის ზღაპრები და თქმულებები“ („Сказки и предания Самарского края“), რომელიც 1884 წელს გამოიცა სანკტ-პეტერბურგში (Садовников, 1884, გვ. 185-187).

ორივე ამ რუსულ ვერსიაში გველის ნაცვლად არის მგელი, რჩევას ეკითხებიან ჯერ ცხენს (кобыла) მერე – ძალს და ბოლოს – აქაც მელას.

არაკის ეს ორმაგფინალიანი ვერსია ლევ ტოლსტოიმ სასწავლო სახელმძღვანელოში შეიტანა სათაურით „მგელი და გლეხი“ (Толстой, 1982, გვ. 170-171).

თეოდორ ბენფაი (1809-1881), ინდური „პანჩატანტრას“ გამოჩენილი მკვლევარი და ამ თხზულების გერმანულად მთარგმნელი (1859) განიხილავს საბას შემდგომი ხანის კიდევ ერთ ორმაგფინალიანი ვერსიას, ამჯერად სომხურს, რომელიც მას ბარონ აუგუსტ ფონ ჰაქსტჰაუზენის „ტრანსკავკასიაში“ უპოვია. მისი სათაურია „ზღაპარი ადამიანთა უმადურობის შესახებ“ (Haxthausen, 1856, გვ. 332-333; შდრ.: Гакстгаузен, 1857, გვ. 70-71; Benfey, 1859, გვ. 118).

ორმაგფინალიანი ვერსიას არ იცნობს ანტი აარნე. 1910 წელს გამოცემულ მის ნაშრომში „ზღაპრის ტიპთა საძიებელი“ („Verzeichnis der Märchentypen“) ჩვენთვის ამჟამად საინტერესო მოტივი 155-ე ნომრად არის რეგისტრირებული სათაურით: „უმადურობაა ამა სოფლის ჯილდო/გასამრჯელო“. ზღაპრის ეს ტიპი ამგვარად არის აქ წარმოდგენილი: „კაცი ათავისუფლებს გველს ან დათვს; ის კი შეჭმით ემუქრება; მსაჯულები; მელა მოუწოდებს გათავისუფლებულს, ადრინდელ მდგომარებას დაუბრუნდეს“ (Aarne, 1910, გვ. 8).

ცოტა უფრო ვრცლად გადმოსცემს მკვლევარი ზღაპრის ამ ტიპის შინაარსს 1913 წელს გამოცემულ წიგნში „სახელმძღვანელო ზღაპრების შედარებითი კვლევისათვის“ („Leitfaden der vergleichenden Märchenforschung“). აქაც ეს ტიპი 155-ე ნომრად არის წარმოდგენილი:

„ერთი კაცი გადაარჩენს ქვის ქვეშ ნაპრაღში მოყოლილ გველს. გველი ამბობს, უმადურობაა ამა სოფლის ჯილდო/გასამრჯელოო, და შეჭმას მოუნდომებს კაცს. კაცის შეთავაზებით ისინი მიდიან სამ შემხვედრ მსაჯულთან სამართლის საძიებლად. პირველი ორი მსაჯული – ცხენი და ძაღვი – გველს ეთანხმებიან, მაგრამ მესამე, ეშმაკი ძაღვი, გველს ისევ შეიტყუებს ნაპრაღში და კაცი კლავს გველს“ (Aarne, 1913, გვ. 82).

ჩვენ ვახსენეთ და დავიმოწმეთ სახელოვანი მკვლევარები, რომელთაც დიდ წვლილი მიუძღვით კომპარატივისტული ლიტმცოდნეობის განვითარებაში: ანტი აარნე და თეოდორ ბენფაი. რაც შეეხება აფანასიევის კოლექციას, ის გამოცემულია 1984 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სახელგანთქმული სერიით „ლიტერატურული ძეგლები“, და ახლავს ცნობილი საბჭოთა მკვლევარების ლ. გ. ბარაგისა და ნ. ვ. ნოვიკოვის ვრცელი შენიშვნები რუსულ ზღაპართა წყაროებისა და პარალელების შესახებ. გამოცემის პასუხისმგებელი რედაქტორები არიან გამოჩენილი ფოლკლორისტიკები ე. ვ. პომერანცევა და კ. ვ. ჩისტოვი.

გასაოცარია, რომ ეს ავტორები იგავის ვერსიების მიმოხილვისას ერთი სიტყვითაც არ იხსენიებენ სულხან-საბა ორბელიანს, რომელთანაც მოიპოვება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, ყველასგან განსხვავებული ვერსია ამ ერთობ პოპულარული არაკისა! და ეს მაშინ, როცა 1878 წლიდან უკვე არსებობდა „სიბრძნე სიცრუისას“ სრული რუსული თარგმანი ალექსანდრე ცაგარლის მიერ შესრულებული და სანკტ-პეტერბურგში გამოცემული, ხოლო 1894 წლიდან – სრული ინგლისური თარგმანი ოლივერ უორდროპისა, ლონდონში დასტამბული.

საბას გაუთვალისწინებლობა ზემოთ დასახელებულ გამოჩენილ მკვლევართა ნაშრომების მნიშვნელოვანი ნაკლია.

* * *

რა უნდა გაკეთდეს ამ მდგომარეობის რამდენადმე მაინც გამოსასწორებლად, ამის საჩვენებლად მოვიყვან ქართული ლიტერატურული ფაქტის ინტერნაციონალიზაციის ერთ წარმატებულ მაგალითს.

დღესდღეობით ერთობ პოპულარული ჟურნალისტური ჟანრი ინტერვიუ ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ჟანრია ამავდროულად.

პაატა ნაცვლიშვილი, ამ ჟანრის ისტორიის მკვლევარი, წერს:

„დღემდე მიღებული მოსაზრებით, იგი [ინტერვიუ] ამერიკული გამოგონებაა და მისი პირველი ნიმუშები მაშინ შეიქმნა, როცა პრესის ისტორია უკვე სამ საუკუნეს ითვლიდა. [...] მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობდა და ფიქრობს, რომ ინტერვიუს პირველი ნიმუშები პრესაში 1860-ანი წლების მეორე ნახევრიდან გამოჩნდა“ (ნაცვლიშვილი, 2012, გვ. 82). ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრების თანახმად კი, „ინტერვიუ XIX საუკუნის 30-იანი წლების ამერიკულ პრესაში ჩნდება, როგორც კრიმინალური ქრონიკის ქვეჟანრი, რომელსაც რეპორტიორები ეგრეთწოდებული „ადამიანური ისტორიების“ გადმოსაცემად იყენებენ“ (ნაცვლიშვილი, 2012, გვ. 83).

მაგრამ, ამავე ავტორის მართებული მოსაზრებით, თანამედროვე ინტერვიუს ეს წინაპრები „უფრო მეტოდით იყო ინტერვიუ, ვიდრე ფორმითა თუ ჟანრობრივად“ (ნაცვლიშვილი, 2012, გვ. 83).

პაატა ნაცვლიშვილი აკეთებს სენსაციურ განცხადებას:

„პირველი ინტერვიუ საქართველოს სინამდვილეში 1756 წელს ჩაიწერა და იგი, იმავდროულად, არის პირველი ინტერვიუ მსოფლიო ჟურნალისტიკის ისტორიაში!“ (ნაცვლიშვილი, 2012, გვ. 84). მკვლევარი გულისხმობს ტიმოთე გაბაშვილისა (1704- 1764) და ევგენიოს ბულგარისის (1716-1806) საუბარს ათონის მთაწმინდაზე 1756 წლის აპრილში. ტიმოთე გაბაშვილს, ჩვენს გამოჩენილ სასულიერო მოღვაწეს, ქუთათელ და შემდეგ ქართლის მთავარეპისკოპოსს, დიპლომატს, მწერალსა და მოგზაურს, თავის წიგნში, რომლის სათაურია „მიმოსლვა“, შეტანილი აქვს ზემოთ დასახელებული საუბრის ჩანაწერი, რომელიც კითხვა-პასუხის ფორმით არის წარმოდგენილი (გაბაშვილი, 1956, გვ. 50-51).

მკვლევარის შეფასებით, „თავისი ფორმით ეს ტექსტი ნამდვილი ინტერვიუა და ამ ჟანრის ყველა ნიშან-თვისებას ატარებს“ (ნაცვლიშვილი, 2012, გვ. 85).

2013 წლის დეკემბერში პაატა ნაცვლიშვილის ეს ნაშრომი ინგლისურად გამოქვეყნდა „European Scientific Journal“-ში (Natsvlshvili, 2013, გვ. 384-387), რის შემდეგაც ის ფაქტი, რომ პირველი ინტერვიუ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში მე-18 საუკუნის ქართველ მწერალს, დიპლომატს, მოგზაურსა და საეკლესიო მოღვაწეს, მთავარეპისკოპოს ტიმოთე გაბაშვილს ეკუთვნის, ინგლისურ ვიკიპედიაშიც აისახა (Interview (journalism) Wikipedia).

ეს არის ქართული მწერლობის ერთობ საყურადღებო მოვლენის ინტერნაციონალიზაციის წარმატებით დაგვირგვინებული მცდელობა. ამ ფაქტის საერთაშორისო აღიარება ამშვენებს ქართული დოკუმენტური პროზის არაჩვეულებრივად მდიდარ და მრავალმხრივ საინტერესო ისტორიას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გაბაშვილი, ტიმოთე. (1956). მიმოსლვა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ნაცვლიშვილი, პაატა. (2012). ძველი ტექსტი ახალი თვლით. ჟ. „უფლის ციხე“, 2012, 2, 81-93.
- ქაშეგი, ჰუსეინ იბნ ალი. (2006). ქილილა და დამანა. სპარსულიდან თარგმნილი მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ. თბილისი: „უნივერსალი“.
- Aarne, A. (1910). Verzeichnis der Märchentypen: mit Hülfe von Fachgenossen ausgearbeitet. Helsinki: Suomalaisen Tiedeakat. Toimikuksia.
- Aarne A. (1913). Leitfaden der vergleichenden Märchenforschung. Hamina: Suomalaisen Tiedeakatemian Kustantama.
- Alphonsi, Petrus. (2020). *Disciplina clericalis* https://en.wikipedia.org/wiki/Disciplina_Clericalis
- Antike Fabeln. (1978). Aus dem Griechischen und Lateinischen übersetzt von Johannes Irmischer. Berlin und Weimar: Aufbau-Verlag.
- Benfey, Theodor. (1859). Einleitung: Über das indische Grundwerk und dessen Ausflüsse, sowie über die Quellen und Verbreitung des Inhalts derselben. In: *Panchatantra. Fünf Bücher indischer Fabeln, Märchen und Erzählungen*. Erster Theil. Aus dem Sanskrit übersetzt mit Einleitungen und Anmerkungen von Theodor Benfey. Leipzig: F. A. Brockhaus.
- Haxthausen, August, Freiherr von. (1856). Transkaukasien: Andeutungen über das Familien- und Gemeindeleben und die socialen Verhältnisse einiger Völker zwischen dem Schwarzen und Kaspischen Meer – Reiseerinnerungen und gesammelte Notizen über das Familien- und Gemeindeleben und die socialen Verhältnisse einiger Völker zwischen dem Schwarzen und Kaspischen Meer – Reiseerinnerungen und gesammelte Notizen. Leipzig: F. A. Brockhaus.
- Interview (journalism) Wikipedia.
- La Fontaine (2019). *Le Villageois et le Serpent* // <http://www.dixvinsblog.com/2019/11/fables-et-fabulistes-jean-de-la-fontaine-le-villageois-et-le-serpent.html>
- Natsvlshvili, Paata (2013). FOR THE GENESIS OF INTERVIEW AS A GENRE. European Scientific Journal December 2013 /SPECIAL/ edition vol.2 ISSN: 1857 – 7881 (Print) e – ISSN 1857– 7431 (<https://eujournal.org/index.php/esj/article/view/2376/2249>)

- Афанасьев, А. Н. 1984. Народные русские сказки в трех томах, т. I. Издание подготовили Л. Г. Барг и Н. В. Новиков. Ответственные редакторы Э. В. Померанцева, К. В. Чистов. Москва: „Наука“.
- Гакстгаузен, А. (1857). Закавказский край. Заметки о семейной и общественной жизни и отношениях народов, обитающих между Черным и Каспийским морями, ч. II, Санктпетербург: Тип. Главного штаба Его Императорского Величества по военно-учеб. заведениям.
- Нахшаби, Зийа ад-Дин. (1979). Книга попугая (Тути-наме). Пер. с персидского Е. Э. Бертельса. Подготовка к изданию, предисл. и примеч. Д. Е. Бертельса. Москва: „Наука“.
- Садовников, Д. Н. (1884). Сказки и предания Самарского края. СПб: Издательство мин-ва внутр. Дел.
- Толстой, Л. Н. (1982). *Собрание сочинений в 22 томах*, т. 10. Москва: „Художественная литература“.

References:

- Afanas'yev, A. N. 1984. Narodnyye russkiye skazki v trekh tomakh. T. I. Izdaniye podgotovili L. G. Barag i N. V. Novikov. Otvetstvennyye redaktory E. V. Pomerantseva, K. V. Chistov. [Russian Folk Tales in Three Volumes, Vol. I. Published by L. G. Barag and N. V. Novikov. Editors-in-Chief E. V. Pomerantseva, K. V. Chistov]. Moskva: „Nauka“.
- Aarne, A. (1910). Verzeichnis der Märchentypen: mit Hilfe von Fachgenossen ausgearbeitet. Helsinki: Suomalaisen Tiedeakat. Toimikuksia.
- Aarne A. (1913). Leitfaden der vergleichenden Märchenforschung. Hamina: Suomalaisen Tiedeakatemian Kustantama.
- Alphonsi, Petrus. (2020). *Disciplina clericalis* https://en.wikipedia.org/wiki/Disciplina_Clericalis
- Antike Fabeln. (1978). Aus dem Griechischen und Lateinischen übersetzt von Johannes Irmscher. Berlin und Weimar: Aufbau-Verlag.
- Benfey, Theodor. (1859). Einleitung: Über das indische Grundwerk und dessen Ausflüsse, sowie über die Quellen und Verbreitung des Inhalts derselben. In: *Panchatantra: Fünf Bücher indischer Fabeln, Märchen und Erzählungen*. Erster Theil. Aus dem Sanskrit übersetzt mit Einleitungen und Anmerkungen von Theodor Benfey. Leipzig: F. A. Brockhaus.
- Gabashvili, Timote. (1956). Mimoslva. [Travels]. Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of the SSR of Georgia.
- Gakstgauzen, A. (1857). Zakavkazskiy kray. Zаметki o semeynoy i obshchestvennoy zhizni i otnosheniyakh narodov, obitayushchikh mezhdru Chernym i Kaspiyskim moryami, ch. II. [Transcaucasian Region. Notes on Family and Social Life and Relations of the Peoples Living between the Black and Caspian Seas, Part II]. Sanktpeterburg: Tip. Glavnago shtaba Yego Imperatorskogo Velichestva po voyenno-ucheb. zavedeniyam.
- Haxthausen, August, Freiherr von. (1856). Transkaukasien: Andeutungen über das Familien- und Gemeindeleben und die socialen Verhältnisse einiger Völker zwischen dem Schwarzen und Kaspischen Meer – Reiseerinnerungen und gesammelte Notizen über das Familien- und Gemeindeleben und die socialen Verhältnisse einiger Völker zwischen dem Schwarzen und Kaspischen Meer – Reiseerinnerungen und gesammelte Notizen. Leipzig: F. A. Brockhaus.
- Interview (journalism) Wikipedia.
- Kashefi. (2006). Kilila da damana [Kalila and Dimna]. Translated from the Persian by King Vakhtang VI and Sul Khan-Saba Orbeliani. Tbilisi: Publishing House Universal.
- La Fontaine (2019). *Le Villageois et le Serpent* // <http://www.dixvinsblog.com/2019/11/fables-et-fabulistes-jean-de-la-fontaine-le-villageois-et-le-serpent.html>
- Nakhshabi, Ziya ad-Din. (1979). Kniga popugaya (Tuti-name). Per. s persidskogo Ye. E. Bertel'sa. Podgotovka k izdaniyu, predisl. i primech. D. Ye. Bertel'sa. [The Book of the Parrot (Tuti-name). Translated from Persian by E. E. Bertels. Preparation for publication, preface and notes by D. E. Bertels]. Moskva: „Nauka“.
- Natsvlshvili, Paata. (2012). Dzveli t'ekst'i akhali tvalit [Old text with new eyes]. Magazine „Uplis tsikhe“, 2, 81-93.
- Natsvlshvili, Paata (2013). FOR THE GENESIS OF INTERVIEW AS A GENRE. European Scientific Journal December 2013 /SPECIAL/ edition vol.2 ISSN: 1857 – 7881 (Print) e – ISSN 1857– 7431 (<https://eujournal.org/index.php/esj/article/view/2376/2249>)
- Sadovnikov, D. N. (1884). Skazki i predaniya Samarского kraya. [Tales and legends of the Samara region]. SPB: Izdatel'stvo min-va vnutr. Del.
- Tolstoy, L. N. (1982). Sobraniye sochineniy v 22 tomakh, t. 10. [Collected works in 22 volumes, v. 10]. Moskva: „Khudozhestvennaya literatura“.